



კოალიციის განცხადება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა, საჯაროდ განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა კონკრეტულ მოსამართლესა და პროკურორს შორის შეხვედრას, სადაც საუბარი გაიმართა დაგეგმილ მოსამართლეთა კონფერენციის საკითხებზე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეფასებით, აღნიშნული ქმედება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მოსამართლეთა საქმიანობაში ჩარევას ნიშნავს. განცხადება ასევე გაავრცელა იუსტიციის მინისტრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანმა. მინისტრის თქმით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ანალოგიურ თემაზე რეგიონებში მოსამართლეებთან ფარულ შეხვედრებს მართავს. იგივე ინფორმაცია გაავრცელა მოსამართლეთა გარკვეულმა ჯგუფმა.

მოსამართლეთა კონფერენციას, რომელიც 9 ივნისს გაიმართება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა თვითმმართველობის გაძლიერების საქმეში. პირველად ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში, მოსამართლეებს ეძლევათ რეალური შესაძლებლობა დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე დააკომპლექტონ სასამართლო სისტემის მმართველი რგოლები.

მომავალი მოსამართლეთა კონფერენციის მნიშვნელობის გათვალისწინებით აუცილებელია, რომ წინასაარჩევნო პერიოდი მაქსიმალურად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდეს. საერთო სასამართლოების სისტემაში ყველა მოსამართლეს უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა თავისუფლად და შეუზღუდავად გააკეთოს არჩევანი ან/და აწარმოოს წინასაარჩევნო კამპანია. ამ პროცესში რომელიმე ჯგუფის უფლებების შეზღუდვა ან მათი დისკრიმინაცია დაუშვებელია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების ყველა შტომ დაიცვას ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ხოლო სასამართლო ხელისუფლების უმაღლესმა თანამდებობის პირებმა უზრუნველყონ მოსამართლეთათვის კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნა.

მოუწოდებთ ყველა შესაბამის ორგანოს და პირს, როგორც სასამართლო სისტემის შიგნით, ისე გარეთ თავი შეიკავონ მოსამართლეთა კონფერენციაზე დაგეგმილი არჩევნების თემებზე მოსამართლეებთან ისეთი არასათანადო კომუნიკაციისგან, რამაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლეთა მხრიდან კონფერენციაზე ნების თავისუფალი გამოვლენა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას მოსამართლეებთან მსგავსი კომუნიკაციის ფაქტები და ასეთის დადასტურების შემთხვევაში, მიღებულ იქნას კანონით გათვალისწინებული ზომები. კოალიცია აცხადებს, რომ აბსოლუტურად მიუღებელია ნებისმიერი პირისაგან უკანონო ჩარევა სასამართლო ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებში. ყოველგვარი ასეთი ქმედება აღიქმება როგორც სასამართლოზე ზეწოლის მცდელობა.

კოალიციის წევრები:

კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
სოლიდარობა უკანონო
პატიმრებს
საქართველოს მცირე და
საშუალო საწარმოთა
ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის
ფონდი
საქართველოს ადვოკატები
დამოუკიდებელი
პროფესიისათვის
ბიზნესისა და ეკონომიკის
ცენტრი
ლიბერალი
კონსტიტუციური უფლებების
დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება
ასოციაცია მწვანე ტალღა
კავშირი "21-ე საუკუნე"
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საერთაშორისო
გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატი მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
საქართველოს ადვოკატთა
ასოციაცია
სამოქალაქო განვითარების
სააგენტო
საქართველოს გაეროს
ასოციაცია
ევროპის იურისტ
სტუდენტთა ასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი
ფონდი დია საზოგადოება
საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
სამოქალაქო ინიციატივების
და დასაქმებულთა დაცვის
ასოციაცია
ევრაზიის თანამშრომლობის
ფონდი
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი
ადამიანის უფლებათა
პრიორიტეტი
თბილისის მედია კლუბი
ადამიანის უფლებების
სწავლებისა და
მონიტორინგის ცენტრი

მოვუწოდებთ როგორც ადმასრულებელ ხელისუფლებას, ასევე სასამართლო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს არ ჩაერიონ მიმდინარე პროცესებში და არ შექმნან გაუმართლებელი რისკები მოსამართლეთა მიერ დაუბრკოლებელი არჩევანის გაკეთებისათვის. ამასთანავე, მოვუწოდებთ პოლიტიკოსებს, თავი შეიკავონ სასამართლოს მისამართით ისეთი ქმედებებისაგან, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენს მოსამართლეთა თავისუფალი ნების გამოვლენაზე.

დავით ასათიანი

კოალიციის დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარე

კახა კოჭორიძე

კოალიციის დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარის მოადგილე